№ 89. 25 აპრილი, ოთხშაბათი. 1866—1884 25 აპრილი, ოთხშაბათი. № 89.

# დროება

„დროების" რედაქცია—სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба".

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ; 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ.; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

## „დროების" ფასი პირველის მაისიდამ წლის დამლევამდე 7 მანათი.

ისე ივანეს-ძე მლიოზოვვი და მფემია ისეს ასული მორთულაძისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ: პირველი შვილისა და მეორე ძმისა **ალექსანდრეს** გადაცვლას, სთხოვენ ნათესავთ და მეგობართა მობძანდენ განსვენებულის სხეულის გამოსვენების დროს საკუთარ სახლში ანჩისხატის ეკლესიაში, 26 აპრილს დილის 10 საათზედ. (2—1)

ოთხს მომავალს მაისს, საღამოს შვიდ საათზედ, თავად-აზნაურობა იქნება მოწვეული განსაკუთრებითს თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის კრებაში, გამოსაცხადებლად ხელმწიფე იმპერატორის სურვილისა, რომლითაც ეპატიათ თავად-აზნაურობას ნახევარი ნაწილი ვალი, რომელთაცა აქვთ დაგირავებული სოფლის მამულები საქართველოს ბრიკაზში.

ვაცნობებ რა ამაზედ თავად-აზნაურობას თბილისის გუბერნიისასა და უმორჩილესად ვსთხოვ მობძანდენ აღნიშნულს დროზედ გუბერნიის კრებაში, რომელიც იქმნება, იმ სახლებში სადაცა მე ვსდგევარ.

თბილისის კეთილშობილთ გუბერნიის წინამძღოლი გენერალ-მაიორი თ. დავით სუმბათოვი.

### ჩვენი თეატრის საქმე.

არცა თქმულა და არც გაგონილა რომელიმე საზოგადოების ისე მასხარად აგდება, როგორც დრამატიული საზოგადოების მმართველობამ აგვიგდო მასხარად. მათზედ აღარც არტისტების თხოვნას, აღარც თვით საზოგადოებისას, აღარც ბეჭდითი სიტყვას მნიშვნელობა აღარა აქვს. ყველას მასხარად იგდებენ, ყველა სასაცილოდ გაუხდიათ.

მათთვის არაფრად არა ღირს დღეს გამოაცხადონ, რომ წლიური ანგარიშისთვის წლიური კრება იქნებაო, და ეს დაპირება ხვალ ისევ დავიწყებას მისცენ, თითქოს ეს საქმე საქვეყნო არ იყოს და მათ ვალად არ ედოს დაპირების შესრულება. რაღა აბრკოლებს ამ გამოჩენილს და შესანიშნს მმართველობას? რატომ არა გროვდებიან და საზოგადო კრებას არ მოახდენენ? აქამდის ბ. ქ. ყიფიანს იხვევდენ ხელზედ, ამბობდენ, რომ «ბ. ყიფიანი ხსენებულის მმართველობის სეკრეტარი არისო, საჭირო ქაღალდები (განა ქაღალდები აქვსთ-კი რამე?) იმასა აქვს და სანამ არ დაგვიბრუნებს, კრებას ვერ მოვახდენთ, წლიურს ანგარიშს ვერ შევადგენთო».

ეხლა როდესაც ბ. ყიფიანმა პორტფელი შიგ ნაწყობის საჭიროს ქაღალდებით დაუბრუნა მმართველობას, ეხლა რაღა აბრკოლებთ იმათ, რად წაუყრუებიათ ყური?

თუ დრამატიული საზოგადოების მმართველობას თავის უმოქმედობისა და გულ-გრილობისა რცხვენიან და თავის საზოგადოებისათვის პირ-და-პირ შეხედვა ველარ გაუბედავს, რად ივიწყებენ, რომ კრება რაც უნდა დააგვიანონ, როცა იქნება მაინც ხომ უნდა მოხდეს და მათი ანგარიში გამოაშკარავდეს? მაშ არა სჯობს ეს ვალი ჩქარა მოიშორონ თავიდგან და ხვალ აუცილებელი დღეს გაათაონ?

ეს ხომ კარგად იციან, რომ რაც უნდა იგვიანონ, მაინც თავიანთ მოქმედებას ვერც გაბერვენ, ვერც გაადიდებენ და ვერც შესცვლიან, რადგანაც მათი სამსახური იმ წმინდა საქმისადმი, რომელიც თავიანთ თავზედ მიიღეს, ყველასათვის ცხადი და აშკარა არის!

მათი მოქმედების და საქმის რიგიანად წაყვანის უცოდნელობის შედეგი არის, რომ ჩვენმა სცენამ ისე უკან დაიწია, რომ არტისტებს და არტისტკებს შორის ჩამოვარდა შფოთი და განხეთქილება, რომ წარმოდგენები თავ-თავის დროზედ ველარ იმართება, რომ მოთამაშეები ერთად შეერთების მაგიერ, სამს-ოთხს დასად დაყოფილან, რომ ძვირფასი ტანისამოსები მოუვლელობის გამო გლახის ფარაჯებს დამგზავსებიან, რომ მათს კასაში მხოლოდ 44 კაპეიკის მეტი არა სძევს და სხვა-და-სხვა.

ამის გარეთ კიდევ ბევრი ცოდვა აწევს ამ საზოგადოების მმართველობას და ვერც აიცდენენ თავიდგან, თუნდა კრების მოხდენა მთელი წელიწადიც დააგვიანონ.

არ შეიძლება არა ვსთქვათ, რომ დრამატიული საზოგადოების წევრთა შორის ერთი-ორი გულ-მოდგინე და სასარგებლო პირი არ იპოვებაო, მაგრამ იმათი მეცადინეობა ამაოდ რჩება, რადგანაც დანარჩენები საქმეს სრულიად გულ-გრილად ეკიდებოდენ და გულ-ხელ დაკრეფილი ისხდენ. მათთვის თეატრის საქმე სრულიად უცხო იყო, რადგან იმ საქმეს კაცს ვერც გამოადგება, ვერც გულ-მხურვალედ ემსახურება, რომელიც არ ესმის, რომელთანაც დაახლოებული არ არის.

ყველა ზემოთქმული გვაიძულებს

---

### «დროების» ფელეტონი 25 აპრილი.

## ლაგოდახი და მისი მცხოვრებლები

შიგნით კახეთს, ალაზნის მარცხენა მხარეს, ჭიაურის აღმოსავლეთით, კავკასიის მთის ძირში, მდებარეობს ერთი ადგილი, რომელსაც ეხლა ქართველები და რუსები ლ ა გ ო დ ა ხ ს ეძახიან. ძველს დროში ამ ალაგს ქართულად ჯერ ერქო «ლაკვასტი», მერმე დაერქო «ლაგოეთი». ვახუშტი სწერს, რომ მე-VII საუკუნეში მეფე არჩილ მოწამემ ააშენა თავისთვის სასახლე და აქა სცხოვრებდაო. სახელი მეფის სასახლისა იყო «ნოხპატო»! აქვე აუშენებია მეფეს «ციხე ლაკვასტისა» და აგრეთვე «ეკლესია შვენიერი, უგუნბათო, რადგან ადგილი ასე არს ფრიად კეთილი აგარაკი და მაგარი». ერთი პატარა ეკლესია აქ დღესაც არსებობს. მასა აქვს ქართულად ხუცური ზედწარწერაცა, მაგრამ სიძველისა გამო ის ჯერ არავის წაუკითხავს. მის გარშემო ქართველებსა და რუსებს მოუსუფთავებიათ და დრო გამოშვებით დადიან სალოცავად.

ლაგოდახშიაცა და მის გარეშემო მყოფ კავკასიის მთის ხეობებშიაც დიდძალ ქართველ ხალხს უცხოვრნია მე-XVII საუკუნემდე. ვახუშტი სწერს, — რომ მაჭის ხეობაში, რომელიც ლაგოდახზე ორი ვერსით არის მოშორებული, «ყოფილა შენობა კაცთა სიმრავლით, არამედ შემდგომად შაჰაბაზისა ლეკთა მიერ ოხერ არიან... ამ ხევზედ არს მთასა შინა თოდა, სასახლე მეფეთა, ფრიად მშვენიერი და კარგი სამყოფი ზაფხულს», რადგან იალალი ადგილია.

ამ ადგილებში მოსახლე ქართველობა გახწყდა და განიბნა მე XVII საუკუნეში, როცა შაჰაბაზმა ქართველები და ლეკები ერთმანერთს გადაამტერა. მის შემდეგ აოხრდა ჭიაურიცა, რომელიც ლაგოდახზე მობმულია. ამ დრომდე აქ დუღდა ქართველთა ცხოვრება. ამ ცხოვრების მოწამედ ახლა დარჩენილან მხოლოდ აუარებელი ნანგრევები შენობათა და აგრეთვე ეკლესიები.

მაგრამ სასახელოდ ჩვენის მამა-პაპისა უნდა ხმა-მაღლა ვაღვიაროთ, რომ ისტორიულ უბედურებას მაინც ხელი ვერ აუღებინებია მათთვის ამ მდიდარს მხარეზე. ჭიაურის ნახევარი დღესაც ეკუთვნით თავადთ ჩოლაყაშვილებს. თავი არ დაუნებებიათ აგრეთვე ლაგოდახისთვის. ოც-და-ცხრა მოსახლე ქართველი ლაგოდახში დღესაც სცხოვრებს. აქ იმათა აქვთ თავიანთ საკუთარი მამულები და სახნავ-სათესი მიწები, რომლითაც უხსოვარის დროიდგან სარგებლობენ...

სამხედრო მთავრობის განკარგულებით «ოტსტავნოი სალდათებს» მისცემიათ აქ მამულები და სახნავ-სათესი მიწები. ისინი დასახლებულან აქ და სცხოვრებენ ქართველებთან ერთად აგერ ეს ოც-და-ათი წელიწადი იქნება მას აქეთ. ამდენ ხანს ისინი მშვიდობიანად ყოფილან; ეხლა კი ენა ამოუდგამთ. ისინი ამბობენ, რომ მიწა, რომელზედაც ვსახლობთ, სახემწიფო არის და სამხედრო მთავრობას მარტო «ოტსტავნოი სალდათებისათვის» მოუცია უფლება აქ მამულები იქონიონო; ქართველები რადგან ამ წოდებას არ ეკუთვნიან, ამისათვის არც უფლება აქვთ მამულები დაიჭირონ და აქ ჩვენთან იცხოვრონო, არ იღებენ მათ სოფლის საზოგადოების წევრად და ნებასაც აღარ აძლევენ თავიანთი ძველებური სახლები განაახლონ, ახალი შენობა დაიწყონ და გაიუმჯობესონ თავიანთი ცხოვრება. თუმცა ქართველები ყოველს სასოფლო საქმეებში ჰშველიან «ოტსტავნოი სალდათებს», იხდიან სახემწიფო ხარჯს და ეწევიან ბეგარასაც...

«ოტსტავნოი სალდათების» საზოგადოება ქართველ მოსახლეებს მიწის ქირასა და ღალასაცა სთხოვს: ზოგს წელიწადში ექვს მანეთს, ზოგს შვიდს, ზოგს თუმანს — იმის და გვარად, ვისაც რამოდენა მამული უჭირავს. ამ გადასახადს ითხოვენ ისინი სახემწიფო ხარჯის გარდა და უნდათ მიიღონ თავიანთ სასარგებლოდ...

ამ გვარი უკანონო ქცევისა გამო ლაგოდახის ქართველ მოსახლეთ შეუტანიათ მთავრობასთან საჩივარი, მაგრამ აქამომდე საქმე არ გარჩეულა. უეჭველია, რომ მთავრობა იცნობს უკანონობას ამ გვარის გარდასახადის თხოვნისას, უარს ჰყოფს მას და მისცემს ბინადარ ქართველთ უფლებას ისარგებლონ ლაგოდახში თავიანთ მამა-პაპის მამულებით ისრე, როგორც სარგებლობენ «ოტსტავნოი სალდათები» რომელნიც აქ ქართველების შემდეგ დასახლებულან.

მღ. დიმ. ჯანაშვილი.

მეცა და მრავალს სხვათაც კიდევ ერთხელ მივექცეთ თხოვნით დრამატიულს საზოგადოების მმართველობას მოახდინონ კრება, გაგვიხსნან საშუალება საქმეს უფრო სასარგებლო და გულმოდგინე მოსამსახურენი ამოვურჩიოთ და მოგვცენ ანგარიში თავიანთ მოქმედებაში.

დრამატიული საზოგადოების წევრი.

## შინაური ქრონიკა

— ორშაბათს სალამოზედ თავი მოიკლა რევოლვერით თავისავე სადგურში 29 წლის ყმაწვილმა კაცმა ალექსანდრე ის-ძე ელიოზიშვილმა. მიცვალებულმა სწავლა მიიღო უფრო სამზღვარს გარეთ და სამეურნეო ნაწილში კარგად იყო დახელოვნებული, როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულადაც. ძვირად ოპოვით ჩვენში ყმაწვილ-კაცს, რომელმაც ისე ზედმიწევნით იცოდეს თავისი ნაწილი, როგორც იცოდა ალ. ელიოზიშვილმა. ამ ცოდნის წყალობით იგი, როგორც წევრი სამეურნეო საზოგადოებისა, დიდს სამსახურს უწევდა ამ საზოგადოებას და ხშირად საძნელო საქმის გამორკვევისა და რაიმე სასარგებლო პროექტის შედგენის დროს მას ირჩევდნენ კომისიის წევრად; ამ წევრობას იგი კისრულობდა არა იმიტომ, რომ მხოლოდ კომისიაში ჩარიცხულიყო, არამედ ცდილობდა თავის მუყაითობით და საქმეში ჩაკვირვებით სარგებლობა მოეტანა საზოგადო საქმისათვის. არც ერთი სამეურნეო საგანი ისე არ გაივლიდა, რომ განსვენებულს თავის ცოდნითა და ენერგიით შესამჩნევი მონაწილეობა არ მიეღო. ჭეშმარიტად სამწუხაროა ასეთის მოცადინე და ენერგიულის მუშაკის ასე უდროვოდ დაკარგვა.

— კახეთიდამ გვწერენ, რომ ხალხს კიდევ არ დაუტოვებია ის ცრუ-მორწმუნეობა, ვითომც სეტყვის შიშით აღდგომა დღეს დედა-კაცები ეკლესიაში არ შეიშვებოდენო. ამ ცრუ-მორწმუნეობას მკითხავები და ქადაგები უფრო ავრცელებენ და ჩამგონებელი კი არავინ არის, რომ ამ ჩვეულების სრული უმნიშვნელობა აუხსნასო.

— სოფ. აკეთიდამ (გურია) გვწერენ: ადგილობრივი სასოფლო სკოლის სასარგებლოდ, ადგილობრივისვე მასწავლებლისა და თავადი ყარამან თავდგირიძის ქალის თაოსნობით აქაური სცენის მოყვარეთაგან იყო წარმოდგენილი ორ-მოქმედებიანი კომედია «ძუნწი». წარმოდგენამ კარგად ჩაიარა, მაგრამ ადგილობრივმა საზოგადოებამ ვერ გამოუჩინა ამ სასიამოვნო და მასთან სასარგებლო საქმეს თანაგრძნობა. სრული შემოსავალი იყო მარტო 24 მან. და 40 კ. რომლიდამაც ხარჯს გარედ დარჩა სკოლას 16 მან. და 40 კ. ესეთი მცირე შემოსავალი იმითიც აიხსნება, რომ ადგილების ფასი მეტად მცირე იყო.

— ჩვენ შევიტყეთ, რომ კვირას, 29 მაისს აპირობენ ჭიდაობის გამართვას სათავად-აზნაურო სკოლის სასარგებლოდ. ჭიდაობაში მონაწილეობას მიიღებენ გამოჩენილი ბლდანელი, ეგნატაშვილი და ორი მარჯვე მოჭიდავე თათარი. ერთი ამ უკანასკნელთაგანი ორჯერ დასჭიდებია კიდეც ბლდანელს.

— ორშაბათს სალამოზედ ტფილისის საბჭომ განიხილა მოხსენება ცხენის-რკინის გზის გამგეობისა, რომელიც თხოულობდა, რომ ერევნის მოედნიდამ ვოგზალამდის ფასი თითო გზისა 13 კაპეიკამდე აეყვანათ 8 კაპ. მაგივრად. საბჭომ უარყო ეს უდროო მოთხოვნილება ცხენის რკინის-გზის გამგეობის მსუნაგი მადისა.

— ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი 14 კაცისაგან ხელ-მოწერილი: „1884 წელსა მარტის 22-ს აკაკი წერეთლისაგან გაზეთით ვიყავით მოწვეულნი, რომ შევვეტყო, თუ როგორ მიდის დრამატიული საზოგადოების საქმე და ზოგნიც მისთვის, რომ ჩაწერილიყვნენ წევრებად; მაგრამ რადგანაც მმართველობის წევრთაგანი არავინ მოვიდა, გარდა თვით-მომწოდებელისა და ამის გამო ვერ მოხერხდა კანონიერი ყრილობა, — უმორჩილესად ვსთხოვთ დრამატიულ საზოგადოების მმართველობას ამ მოკლეს ხანში გადაჭრით შეგვატყობინონ, იქნება თუ არა კრება და როდის."

— ამ ჟამად ავსტრიის დედა-ქალაქს ვენაში იმყოფება დირექტორი ტფილისის მუზეუმისა დოქტორი რადე, რომელსაც რამდენიმე ლექცია წაუკითხავს იქ იმიერ და ამიერ — კავკასიაზე, ბაქოზე, როგორც ნავთის ქალაქზე და მერვზე. ვენის საზოგადოებას დიდის თანაგრძნობით მიუღია ბ. რადეს ლექციები.

— ყველასათვის ცხადია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვთ ხალხის კეთილ-დღეობისათვის იმ მდინარეებს, რომლებზედაც გემებს სიარული შეუძლიანთ. სამწუხაროდ თითქმის ყველა ჩვენი მდინარეები მოკლებულნი არიან ამ ღირსებას. მოკლებულია ამ ღირსებას ერთი ჩვენი უმთავრესი მდინარეთაგანი — მტკვარიც. მხოლოდ ამ მდინარის შესართავთან დადიან წვრილი იალქნის ნავები, — უწინ ვორონცოვის დროს კი იქ ორთქლის გემებიც დადიოდენ. ეხლა მთავარ-მმართებელს განუზრახავს განაახლოს ორთქლის-გემებით სიარული მტკვარზედ შესართავიდამ მოკიდებული მინგეჩაურამდე, რომელიც კავკასიის რკინის გზის ახლოა. ამ აზრით შარშანვე იყო გაგზავნილი კაპიტანი ლაცინიკოვი, რომელსაც კარგად გაუსინჯავს მდინარე და რუკაც აულია აკრაგლიდამ მოყოლებული (აკრაგლი რკინის გზის სტანციაა) ზღვამდე. კაპიტანს ლაცინიკოვს დაუნიშნავს ის ადგილები, სადაც მტკვარის კალაპოტი უნდა ჩაღრმავდეს და ასცილდეს სხვა-და-სხვა მიზეზები რომელნიც აბრკოლებენ გემების სიარულს. აკრაგლისთან ამას გარდა უნდა გაკეთდეს ელევატორები, რომ შეიძლებოდეს ხორბლის გადალება გემებიდამ ვაგონებში. თუ ეს აზრი შესრულდა, უნდათ რომ კიდევ უფრო მაღლა აჰყვენ მტკვარს და გაუფართოვონ მასზე გემებს გზა.

## «დროების» კორესპონდენციები.

—

ქ. ფოთი, 23 აპრილს. ხშირად მესმის ფოთის საზოგადოებისაგან რომ უბრალო წერილები გაგზავნილი ხონში, ოზურგეთში და ბათუმში არ აღწევენ თავის დანიშნულს ალაგამდის, რის მიზეზითაც ძალიან იჭვნეულის თვალით უყურებენ აქაურს ფოსტის ჩინოვნიკებს, რომელნიც ფოთიდგან სამტრედიამდის დადიან. ეხლა ხანს ერთმა შემთხვევამ აღმოაჩინა შემდეგი მიზეზი წერილების დანიშნულებისამებრ მიუღწევლობისა. ოც-და-ექვს გასულს მარტს, ხონის ფოსტალიონს ბ. ფომენკოს ქონია წერილი გარდასაცემად ფოთის ფოსტის ჩინოვნიკი ბ. ბოკერიასადმი, რომლისათვისაც უთქვამს პალტოს ჯიბეში მაქვს და მალე მოგიტანო. ბოკერიამ პატარა ხანს უყურა მაგრამ, რაკი დროზედ არ მოუვიდა და უნდოდა წერილის შინაარსი გაეგო, გასწია სამტრედიის ფოსტის სტანციაში, სადაც კანტორაში იჯდა იქაური ზედამხედველი და მისი თანხმობით დაუწყო თავის წერილს ფომენკოს პალტოს ჯიბეში ძებნა, მაგრამ მანამ თავის წერილს იპოვიდა, ჯიბიდგან ამოიღო ოც-და-შვიდი გახსნილი წერილები, რომელიც ზოგი ხონში იყო გასაგზავნი, ზოგი ოზურგეთში და ზოგი ბათუმში. როდესაც დაიბარეს ფომენკო და ჰკითხეს მიზეზი ამ წერილების დაგლეჯისა და დახსნისა, რამდენიმე უარის შემდეგ გამოტყდა და სთქვა: ხშირად მაგისთანა უბრალო წერილებში ვპოულობ ფულებს და იმ მიზეზით ჩავდივარ ამისთანა საქმესაო. ბოკერიამ სთხოვა იქაურ ზედამხედველს, რომ აქტი შეეყენებინა და ეს ამბავი ეცნობებინა მისთვის, ვისაც ჯერ არს, მაგრამ ამისთანა საქმის მომქმედი ფოსტალიონი დღესაც არხეინად მსახურობს და ალბად თავის ჩვეულებრივს წერილების კონტროლს ხშირად ახდენს. რა მიზეზია, რომ ამისთანა მავნებელი კაცი კიდევ მსახურობს და რად დასტოვა უყურადღებოდ სამტრედიის სტ. ფოსტის ზედამხედველმა ეს ამბავი? აქაური საზოგადოება იძულებულია, რომ წერილების გზავნას დაანებონ თავი და თავიანთი საჭიროება ტელეგრამით აცნობონ მათთან საქმის მქონეთ, თუნდა ეს ათ წილად მეტად ღირდეს, რადგანაც წერილები არ მიდის თავის დანიშნულს ადგილამდის და ვილაც ფოსტალიონი გზაში კონტროლს უშვებს შიგ ფულების საპოვნელად.

იმედია ამ საქმეს არ დასტოვებენ უყურადღებოდ და აგვაცილებენ ფოთელებს ამ გვარ უსამართლოებას. ამ ამბის სინამდვილე შემიძლია დავამტკიცო ნამდვილის ფაქტებით, როცა საჭიროება მოითხოვს...

ქ. ყარსი. ძლივს გაგვიფიდა ყარსელებს გრძელი და სუსხიანი ზამთარი, მაგრამ ყარსის არემარემ ის იცის, რომ თითქმის ნახევარ თიბათვემდე განუწყვეტლივ წვიმები მოდის, ღრუბლიანი და ავდრიანი დღეები გაზაფხულზე უფრო ბევრია აქ, ვიდრე სხვა რომელსამე დროს, რის გამოც ადამიანის გულიც ხშირად დახურული და დადარდიანებულია. მაინცა და მაინც აქაური ღარიბი ბუნება არ წარმოადგენს ბევრს რასმე სასიხარულოს, ნამეტნავად ქართველისთვის, რომელიც ხშირად იგონებს საქართველოს კეკლუც და მშვენიერს გაზაფხულს და არე-მარეს, რომელნიც ყველგან მწვანე ხავერდის მანტიით არიან გარემოცულნი და კაცის გულიც ხარობს მათის ყურებით. ზამთარი აქ თითქმის უფრო ადვილი გასაძლებია, ვიდრე გაზაფხული და ზაფხული. აქაური ბუნება ზამთრის ძილისაგან გაზაფხულზედ ნახევრად გამოღვიძებულსა ჰგავს, რომელსაც თვლემა უფრო ეტყობა, ვიდრე ხელ-ახლავ გაცოცხლება. ბევრს ვერაფერზედ შეატყობთ, რომ ეხლა სასიხარულო დროა. ბუნება ძლიერ ერთფეროვანი და მოწყენილია და ხალხზედაც იგივე დაღი დაუსვამს, ქალები აქ უშნონი არიან, მომცრო ტანისა თუმცა ლამაზიც ბევრია, მაგრამ ცხვირის მეტს ხშირად ვერას დაუნახავთ, ისე იბურებიან პისაიის ჩადრებში.

ამას წინად აქ იყო გავრცელებული სხვა-და-სხვა მოარული ავადმყოფობა, მაგ. ყვავილი, წითელა, ქუნთრუშა, სახადი და სხვანი, მაგრამ ზარალი არაფერი მოუტანიათ და ადმინისტრაციაც კაი ზომებს ხმარობდა, საქმით ამართლებდა ხალხის კეთილდღეობაზედ ზრუნვას და «ოტნოშენიებზე» და «რაპორტებზედ» არ ამყარებდა მეცადინეობას. დიფტერიტიც ჩნდებოდა, მაგრამ მალე მოუღეს ბოლო როგორც იმას, ეგრეთვე სხვა ავად-მყოფობებსაც. ეხლა ძალიან ჯან მთელობაა აქეთკენ...

გაზაფხულდა და აქაურმა ტრიალეთის მთებმა და სხვა საბალახე ალაგებმა მრავალი ქართველობა მოიწვიეს აქეთ თავიანთ ცხვრის ფარებით; ერცელი საძოვრები საკმარისად დააკმაყოფილებენ მათ; აქაურს ხალხს თუმცა გარემოება ხელს უწყობს, მაგრამ საქონელი ძლიერ ცოტასა ჰყავს. უმთავრესი ამის მიზეზი აქაური გრძელი და სუსხიანი ზამთარია და მერე დაუდევნელობა... ყარსის დაცარიელებული მხარე საკმარისად დასახლებულია ახლად რუსებით, მალოკნებით და დუხობორებით. წინანდელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცხოვრებნიც, თათრების გარდა, ყველანი აქ დარჩნენ, თუმცა დღევანდლამდე სიღარიბიდამ ვერ გამოსულან, რადგან ომის დროს თათრის ჯარი რომ უკან იწევდა, უცხო რჯულის ხალხს აოხრებდა და ისე მიდიოდა. შარშან ორმოციოდე კომლს ქართველებსაც სურდათ ახალ-ქალაქის მაზრიდამ აქ გადმოსახლება, ცდილობდენ კიდეც აქაურ გუბერნატორთან, მაგრამ ეხლა ეს განზრახვა მიატოვეს, რის გამოისობით, ნებით, თუ უნებლიეთ, ან საბოლოვოდ დაანებეს თავი, თუ დროებით,—არ ვიცით...

---

სოფ. კახი. (ზაქათალის მაზრა). 14-ს აპრილს. აქამდისინ ბევრი საჩივრები ისმოდა დაუდგომელს და მრავალი ზიანის მომტანს მდინარე ქურმუხზედ. თითქმის ორი წელიწადია, რაც გაზეთებში ქურმუხზედ სამდურავი და საჩივარი არ იბეჭდება. ამ მდინარემ სოფელს კახს დიდი ზარალი მისცა. მან ამ ოთხის წლის წინად აჰყარა 16 კომლი ინგილო, მოაშორა თავის მამა-პაპეულს მამულს, სახლსა და კარს. ისე ჩალეკა და მორეყა, რომ არავინ მნახველთაგანი არ იფიქრებს, თუ აქ ყოფილა ოდესმე მოსახლობა ოცამდინ კომლი აპირობდა სამშობლო მამულების დატოვებას და ამ მდინარის შიშით გადასახლებას, მაგრამ ეხლა უკეთესი დღე დაუდგათ. მართალია ბევრი დრო და შრომა მოანდომეს ქურმუხის დაწყნარებას და როგორც იყო ბოლოს დროს შრომა ხალხისა დაგვირგვინდა ნაყოფიერად.

1870 წელში დაწყობილი ბენდი ბ. მაზრის უფროსის შოლკოვნიკოვის პლანი და მრავალი ხალხის შრომა იმავე წელიწადს ჩარეცხა ქურმუხმა, შემდეგ იმისი მოადგილის მაზრის უფროსის სერაფიმოვიჩის და უჩასტკის უფროსის ბოღუსლოვსკის პლანმა და შრომამ თავი ვერ შეიმაგრა, გაჰყვა პირველს იმავე წელიწადს.

გლეხებმა თითქმის იმედი დაჰკარგეს, მაგრამ ბოლო დროს მაზრის უფროსმა იუზბაშოვმა მოიწვია ინჟენერი. ესენი მოვიდენ სოფელს კახს, ეწვივნენ უჩასტკის უფროსს ბ. კარპინსკის; მეორე დღეს სამნივე წავიდნენ ქურმუხის ჩაილაღის გასასინჯავად, იქ შეედგინათ ახალი პლანი, სად და როგორ უნდა გაეკეთებინათ ბენდი. საქმე მისდგა მუშა ხალხზედ მესამედ შრომის დაწყებისათვის, ჯერ კახელები დიდს უარზედ იდგნენ, რადგანაც მათი შრომა არა ერთხელ ჩარეცხა ქურმუხმა. მაგრამ როგორც იყო იკისრეს მუშაობა. მაზრის უფროსმა რამდენიმე სოფელიც მიაშველა მათ, ზედამხედველადაც დაუყენა კარპინსკი. ამ ახალი პლანის და ახალი ჯურის ბენდებმა თავი შეიმაგრეს. მართლაც პირველს წელიწადს ხალხს არა სჯეროდა, რომ ეს ბენდები თავს დაიჭერენო, მაგრამ აი ორი წელიწადია ვერაფერი ვერ ავნო ქურმუხმა, მკვიდრად არის დამდგარი უკანასკნელი შრომა. ამის დამნახველ გლეხებს მიეცათ იმედი, მამულებს ერთგულად დაუწყეს შემუშავება, სახლებს აშენება და არხეინად ცხოვრება. ამ შრომის წყალობით ოცს კომლს შერჩა მამა-პაპეული მამული. გლეხები ახლა ამბობენ, ცდა ბედის მონახევრეაო. თუმცა გლეხებს ემძიმებოდათ ხუთიოდე დღის შრომა პირველად, მაგრამ საუკუნოდ კი ღმერთს მადლობასა სწირავენ. გლეხებსაც ვერ დავემდურებით ამისათვის, რომ შრომამ ნაყოფი უნდა მისცეს მშრომელსა და არათუ ამაოდ ჩაიაროს, ამისათვის ნათქვამია, ხერხი სჯობია ღონესა თუ კაცი მოიგონებსა, მართლაც ახალი პლანით და ხერხიანად მოაშორეს კახი ქურმუხის ზარალსა.

აი გუშინ დაიწყეს ახლა სოფელი მეშაბაშის გვერდით ახალი ბენდი; იმედია, ისიც ააცილონ ქურმუხის მრისხანებასა.

კახელი.

---

სოფ. იანეთი (იმერეთი). თუმცა ჩვენი სოფელი სხვა სოფლებს ბევრით არ ჩამოუდგება უკან არც სიმდიდრით, არც ადგილ-მამულით; და ბუნებით ხომ ყველაფერზე უფრო მდიდარი არის მაგრამ ასეთ ბუნებით მდიდარ სოფლის საზოგადოებას საუბედუროდ მეტის-მეტი დაუდევრობა სჭირს. აი ამ დაუდევრობის ნიმუში:

ამ სოფელში სცხოვრობს 260 მოსახლე გლეხზე მეტი. ამ 260 მოსახლეში მხოლოდ 20 თუა რომ არაფერი შეძლება არა ჰქონდეს. დანარჩენებს ადვილად შეუძლიანთ სასოფლო საჭიროების დაკმაყოფილება.

არ მახსოვს, რომელ წელში თავადმა დავით მიქლეს-ძე მაჩაბელმა აჩუქა თავის ერთ სართულიანი ხის სახლი კარგა დიდი როგორც სისრულით აგრეთვე სიმაღლითაც და ამასთან ხეებიც მისცა სოფელს, რაც ამ სახლს მოუნდებოდა, რომ იგი ეკლესიად გადაეკეთებინათ. რასაკვირველია, სოფელიც შეუდგა საყდრის შენობას. ააშენეს როგიანი საყდარი. აშენება გაათავეს სწორედ აღდგომის წინა დღეს.

რადგან ჩქარა მოხატვას ვერ ახერხებდენ იძულებული შეიქნენ აეკრათ რამოდენიმე ფიცარი საყდრის შუაგულზე და ტრაპეზი ამგვარად დროებით გაეცალკევებინათ. აღდგომის შემდეგ უნდა მოესრულებინათ, რაც რომ იყო გაუკეთებელი. მაგრამ აგერ, მე როგორც მახსოვს, ათი თუ არა, შვიდი წელიწადი მაინც იქნება, რაც საყდარი ისევ იმ დღეშია როგორც უწინ იყო. კიდევ კარგი თუ ფიცრები საშიშად არ იყოს მიკრული, მაგრამ შვიდ-რვა არშინიანი სქელი ფიცარი ერთიან ორი ლურსმით არის დაკრული. უბრალო უქმე დღეზე კიდევ არაფერი, მაგრამ იმისთანა ბედნიერ დღეს, როგორც აღდგომა, შობა ან წყალკურთხევაა ხალხი ძლიერ ირევა საყდარში და ადვილად შეიძლება ოდნავ მიკრული ფიცარი ჩამოვარდეს და უბედურება მოახდინოს რამე.

კარგი იქნება, რომ ამისთანა დაუდევრობას მიაქციონ ყურადღება, ვისდამი ჯერ არს.

---

ს. კუხი. (ქუთ. მაზრა), 28 მარტს. საზოგადოდ ჩვენში ეკლესიების აგებას ბევრი დავი-დარაბა მოსდევს... ჩვეულება აქაც ასრულდა და კუხში ახალი ტაძრის აშენებამ ბევრი აყალმაყალი და საჩივრები გამოიწვია... პარტიები და პარტიები, კრძოობა და კრება... ბოლოს იძლია ერთი პარტია და ძველი ქვითკირის ეკლესია დაანგრიეს ახალის ხის ეკლესიის ასაგებად. ეკლესია თუმცა პატარა იყო, მაგრამ ერთობ სქელი კედლებიანი და შიგნით სრულიად მომხატვრული. კედლებზე მხატვრობების ქვეშ ბევრი წარწერები ყოფილა, მაგრამ უმეცართ იმათთვის ყურადღება არ მიუქცევიათ და თავიანთის ტლანქი ხელით შეუმუსრავთ.

ჩვენებურ სულიერ მ—თ საისტორიო და საარხეოლოგიო ცნობების შეკრება თუ არაფრად მიაჩნიათ, ის მაინც როგორ არ უნდა ესმოდეთ, რომ ტაძრის ამგებელთ თავიანთ მოსახსენებლად დაუგდიათ ეკლესიის კედლებზე წარწერები. განა მათი სახელების გაქრობა მადლად მიაჩნიათ?

---

## რ უ ს ე თ ი

დღევანდლამდის რუსეთში სამრევლო სკოლებს არა ჰქონდათ არავითარი ორგანიზაცია და კანონები მათ შესახებ ხშირად ერთი-ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდენ. ეხლა, უწმ. სინოდის ობერ-პროკურორისა და სახალხო განათლების მინისტრის ერთი-ერთმანეთთან დათანხმებით შემუშავებულა ახალი პროექტი სამრევლო სკოლების დასაფუძნებლად. «პეტერბურგის უწყებები» ამბობენ, რომ ამ ახალის პროექტის აზრით ორგვარი სკოლები დაარსდება: პირველ-დაწყებითი ერთ-კლასიანი სკოლები წერა-კითხვისა ორის წლის კურსით და ორ-კლასიანი სკოლები ოთხის წლის კურსით. რამდენისამე სკოლისათვის ერთად იქნება დანიშნული საპატიო მზრუნველი, რომელსაც დიდი გავლენა ექნება ამ სკოლების ბედსა და იღბალზედ. უწმ. სინოდმა უნდა გასინჯოს ეს პროექტი და შემდეგ წარადგინოს დასამტკიცებლად.

—

„ნოვოე ვრემიას“ სიტყვით შინაურ საქმეთა სამინისტროში ჰფიქრობენ სხვა-და-სხვა ღონის-ძიება მოიგონონ ხშირის ცეცხლის ასაცილებლად რუსეთის სოფლებში. ამისათვის უნდათ დაავალონ სასოფლო გამგეობათ, იქონიონ მუდამ ყოველ სოფელში ცეცხლის გასაქრობი იარაღები. ამისათვის უნდათ ერობანიც მოიწვიონ დასახმარებლად და გააწერონ სოფლის სახლების პატრონებზე ხარჯი. ამასთანავე განზრახვა აქვთ შესცვალონ წესი შენობების დაფასებისა დაზღვევის დროს, რადგან ეხლა ისე მცირედ ფასად აგდებენ ამ შენობებს, რომ გადაწვის შემდეგ აღებული ფულით ყოვლად შეუძლებელია გლეხკაცისათვის უბრალო ქოხიც არის ააშენოს.

---

# ტელეგრამები

(„ჩრდილოეთ სააგენტოსი“)

23 აპრილს.

**კრონშტატი.** ტამოჟნამ ბაირაღი აუშვა იმის ნიშნად, რომ ნაოსნობა დაიწყო

**რიბინსკი.** ვოლგაზედ ყინული დაიძრა და წყალი ადიდდა.

**ბერლინი.** «ჩრდილოეთ გერმანიის გაზეთი» ამტყუნებს ხმებს, ვითომც რუსეთის იმპერატორი ბერლინში მიბძანდებოდეს და ამბობს რომ ხელახლად გერმანიის იმპერატორის ნახვა მისგან საჭირო არ არის იმის შემდეგ, რაც იმათ ერთმანეთი დანციგში ნახესო.

**პარიჟი.** მთელს საფრანგეთში გუშინ მუნიციპალურს საბჭოებში არჩევანი გათავდა. ახლად ამორჩეულნი ისეთნი არიან რომ უფრო საქალაქო საქმეებს მოეკიდებიან, ვიდრე საპოლიტიკოთა.

24 აპრილს.

**პეტერბურგი.** გატცუკის გაზეთს გამოეცხადა მეორე გაფთხილება, რადგან იმისთანა წერილებსა ბეჭდავს რომელთა შინაარსიც გაკიცხულ იქმნა პირველი გაფთხილების გამოცხადების დროს. იგი უარ-ჰყოფს პირველი გაფთხილების საფუძვლიანობას და ამით ამტკიცებს, რომ მიღებულ ზომას მასზედ არ უმოქმედნია.

გუშინ ოლქის სასამართლოს სხდომაზედ ,,შავის ბანდის‘‘ შესახებ ქალმა მოხუცებულის ლუბეცკისამ, რომელიც ერთი დამნაშავეთაგანია რევოლვერი იგრა; დაჭრილობა საშიში არ არის.

თითონ ლუბეცკიმ დაავლო ხელი იქვე მდგომიარე გრაფინს და ისე მაგრად გაირტყა თავში, რომ გრძნობა. დაჰკარგა სხდომა გაგრძელდა ლუბეცკის თანა-დაუსწრებლად.

**პარიჟი.** მაროკოსთან დიპლომატიური კავშირი მოისპო, რადგან მაროკის სულთანმა არ გადააყენა ერთი გუბერნატორი, რომელსაც უსიამოვნობა მოუხდა საფრანგეთის ქვეშევრდომებთან.

### «დროების» ფოსტა.

ქ. ყ-სს ნ. მ-შვილს. მოგვაწოდეთ ხოლმე მანდაური ამბები; სიამოვნებით დავბეჭდავთ.

ქ. ს—ს. ი. შ—ვს. თქვენგან მოწერილი ამბავი „არ ახალია—ძველია“. თუ ახალ ამბებს მოგვწერთ ხოლმე, ძალიან დაგვავალებთ.

## განცხადებანი

საქართველო-იმერეთის სომეხთ გრიგოლიანთ ეპარქიის კონსისტორიაში დანიშნულია ვაჭრობა ამ წლის 27 აპრილს (ვაჭრობის გაუმეორებლად) ეჩმიაძინის მონასტრის ბაღის საიჯაროდ გაცემისა.

ბაღი იმყოფება თბილისის 1-ს ნაწილში. (3—3)

სამკურნალოში, რომელიც თბილისის მოქალაქეთ დაარსეს სახსოვრად 4 აპრილის 1866 წლისა, ავად-მყოფნი მიიღებიან დილის 9 საათიდგამ 1 საათამდინ.

ყოველ დღე მიიღებენ ამ სამკურნალოში ავად-მყოფებს შემდეგი ექიმები: არუთინოვი—9 საათიდამ 10 საათამდინ შიგნეულ ავადმყოფობათა წამლობისათვის, ალიხანოვი და ლისიცევი—10 სათიდგან 11-დე შიგნეულ ავად-მყოფობის წამლობისთვის, ექიმი-ქალი პოტაპოვისა—11 საათიდამ 12-დე დედა-კაცების და ბავშვების ავადმყოფობის წამლობისთვის; შტემბორსკი—12 საათიდამ 1-მდე ხირურგიული, სიფილისის და სხეულზე გამოყრილი მუწუკების წამლობისთვის.

ამას გარდა: ზორალევიჩი ორშაბათობით—10 საათიდამ 11-მდე შიგნეულ ავად-მყოფობის წამლობისთვის; მინევიჩი სამშაბათობით და პარასკევობით 9 საათიდამ 10-მდე ხირურგიული ავად-მყოფობის წამლობისთვის; რეიხი სამშაბათობით და შაბათობით 10 საათიდამ 11-მდე თვალის ავად-მყოფობის წამლობისთვის; ბაბაევი სამშაბათობით და შაბათობით $11^1/_2$ საათიდამ $12^1/_2$-ამდე შიგნეულ და ნერვების ავად-მყოფობის წამლობისთვის; იანკოვსკი სამშაბათობით და ხუთშაბათობით 11 საათიდამ 12 საათამდე შიგნეული ავად-მყოფობის და სიფილისის წამლობისთვის; კრასნოგლიადოვი—ოთხშაბათობით და პარასკევობით 10 საათიდამ 11-მდე შიგნეული ავად-მყოფობის წამლობისთვის.

კბილის ავად-მყოფობის ექიმი ვოლფზონი ყოველს დროს მიიღებს თავის სახლში ღარიბ ავად-მყოფებს, რომელთაც სამკურნალოდან ბარათი ექნებათ.

### ინგლისური რკინის პრაოტები



ერთის საწოლი 7 მანეთიდგან და ორის საწოლი 14 მანეთიდგან, მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 5-დგან 8 მანეთამდინ. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25%-თ უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საყარაქე, საშაქრე, ჩაის და სტოლის კოვზები ჩანგლებითა, ფაიფოსი, დასადგმელი, პირის-საბანი, სტაქნები, სუფოვნიკი, საწყაო, სვები, რიუმკები, გრაფინკები, საქაშური თეფშები, ბლუდები, სასალათეები, ტაშტები, სარძევეები, სამარილეები, გარჩიცის საფხეკები, უნაგირები კაცისა და ქალისა; აღვირები, ხლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბაღო მაკრატლები, ვაქსები, უთოები, წისქვილები, ხერხები, ქლიბები, კლიტეები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, პიჟები, ზარიადები, კაპსიულები, ხაფანგები, ნიჩბები, ვატერპრუფი, საბნები, ჩულქები, წინდები, სუფრები, სალფეტკებისათვის რგოლები, ემალიანი ჭურჭელი, მურაბები, კამფეტები, პიკულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიტიკონები და სხვ. ინგლისურს მაღაზიებში №№ 156, 157, 158, 159, და 160. ამ ნომრებს ყურადღება მიაქციეთ. (100—1)

## ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | მოსკოვის ჩაის |
| --- | --- |
| 1 მ. 10 კ. | 1 მ. 40 კ. |
| — — 1—20 | — — 1—60 |
| — — 1—40 | — — 1—80 |
| — — 1—60 | — — 2—,, |
| — — 1—80 | — 2 — 50 |
| საუკეთესო 2—,, | — 3 — ,, |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, მოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეონკა, წინდები—კაცისა და ქალისა, ხელ-სახოცები, მაკინტოშის კალენკორი—ყველ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—18)

### ინგლისის მაღაზიაში

თმის-ამომყვანი | მაკ-მასტერი



ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ. (100—23)

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან., სჩოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

### საგლობუსო  კალმები

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთაო ქაღალდზე. ერთად ერთი სააგენტო ინგლისის მაღაზია. იქვე აუარებელი სხვა-და-სხვა გვარი კალმები ყოველის «ხელისათვის»—25% იაფად, ვიდრე სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, ლაქი, კარანდაში, პენალი, კალმები, ბუმაჟნიკები, პორტ-სიგარები, ალბომები, რამკები, მაკრატლები, სამართებლები, სანთელი, სალესი, ცარაშკები ჭურჭლის საწმედად (ბორაკსი) თეთრეულისათვის, პატარა ხალები იატაკისათვის, კლიონკები, ტასტები, საკარძლები, სარკეები, სავარცხლები, ბუზმენი, ზარები, ბინოკლები რულეტკები, ვატერპასები, მზის-საათები, კომპასები, ტერმომეტრები, მეწველები, ნემსები, მაგნიტები, სვისტოკი, პომოჩი, ქამრები, სარტყლები, პრობკები, საპრობკეები, კრანები, ფილტრები, შჩოტკები, თავისა; ტანისამოსისა, ცხენისა და პატენტიანი მაკინტოშები, კრაგები, საქიმო ქაღალდი ვატერ-კლოზეტისათვის და სხვ. და სხვ.

პატაუკი—20 კ. (100—80)

### მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 1 აპრილიდამ 1 მაისამდე 1884 წ.

| | | |
| --- | --- | --- |
| გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა— | —1 გირ. | 5 კ. |
| აქაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა— | —1 გ. | 3 კ. |
| მეორისა— — | —1 გ. | $2^1/_2$ |
| იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი: | | |
| პირველი ხარისხის | —1 გ. | 5 კ. |
| მეორისა— — | —1 გ. | $3^1/_2$ |
| მესამისა— — | —1 გ. | 3 კ. |
| ქვავრის-მამი პური: | | |
| პირველი ხარის. ლავაში | 1 გ. | 5 კ. |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 გ. | 4 კ. |
| მესამისა — — | —1 გ. | $3^1/_2$ |
| ძროხის ხორცი: | | |
| პირველის ხარისხისა | —1 გ. | 9 კ. |
| მეორისა— — | —1 გ. | 8 კ. |
| სუკი . . . | —1 გ. | 16 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 გ. | 11 კ. |
| ღორის ხორცი: | | |
| პირველის ხარისხისა | —1 გ. | — კ. |
| მეორისა— — | —1 გ. | — კ. |

### რკინის გზა

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით
თბილისიდამ მარტო ხაშურამდინ
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.
თბილისიდამ ბაქოსკენ
10 საათზედ და 45 წამ. დილით.
(სამშაბათობით საჩქარო 10 ს. 58 წ. ღამ.)
ქუთაისიდგან თბილისისკენ
12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.
ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.
ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილით.
ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილით.
ფოთიდამ დ ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამით.
მარტო ხაშურიდამ მომავალი თბილისში შემოდის
8 საათზედ დილით
ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან.
(პარასკევობით საჩქარო 7 ს. 53 წ. დილ.)

*Доз. ценз. Тифлисъ, 24 Апрѣля 1884 г.* სტამბა არ. ქალანდაძისა და ამხ. გამომც. გ. ქართველიშვილი. რედ. ი. მაჩაბელი.